საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით

კვარჯალური მიმოხილვა
(ოქტომბერი - დეკემბერი, 2022)

მართლმსაჯულება 1984 წლის კოდექსით

კვარტალური მიმოხილვა

(ოქტომბერი - დეკემბერი, 2022)

თბილისი

2023

კვარტალური მიმოხილვა მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

გამოცემის ხელმძღვანელი: ნონა ქურდოვანიძე

რედაქტირება და დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

ყდის დიზაინი: თეონა კერესელიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2023

შესავალი

საქართველოში დღემდე მოქმედებს 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოშობს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) წარმოგიდგენთ 2022 წლის 1-ლი ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდის კვარტალურ მიმოხილვას, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მომხდარ ძირითად მოვლენებს აერთიანებს. აღსანიშნავია, რომ მითითებულ პერიოდში ადამიანის უფლებათა სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება საქმეზე „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც 2015 წელს საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული 7 აქტივისტის საქმეებს აერთიანებს. სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო შეკრების უფლება გამოხატვის თავისუფლების შუქზე. ამავე პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება, რომელშიც ცალსახად განმარტა, რომ 173-ე მუხლის (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) საფუძველზე საქმის განხილვისას საერთო სასამართლოები ვალდებულნი არიან, პირის სამართალდამრღვევად ცნობამდე შეისწავლონ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ მოთხოვნისა თუ განკარგულების კანონიერება, რომლის დაუმორჩილებლობისთვისაც პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება.

სტატისტიკური ინფორმაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, 2022 წელს იზოლატორებში **ჯამში 5945 პირი** მოათავსეს. აქედან:

166-173 მუხლების საფუძველზე (წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა)	**2554**
მხოლოდ 173-ე მუხლის საფუძველზე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა)	**1712**
მხოლოდ 166-ე მუხლის საფუძველზე (წვრილმანი ხულიგნობა)	**403**

მთელი წლის განმავლობაში
ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა 511 პირს,
მათ შორის, ყველაზე ხშირად გამოყენებული იყო:[1]

- **5-დღიანი** პატიმრობა - შეეფარდა **204** პირს
- **10-დღიანი** პატიმრობა - შეეფარდა **175** პირს

[1] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/uploads/63dba84fc9f71.pdf, ნანახია: 11.02.2023.

აქტივობები პარლამენტში

- საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, წლის განმავლობაში უნდა შემუშავებულიყო ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მისაღებად კანონპროექტის სამუშაო ვერსია.[2] თუმცა, 2022 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, ის დაინტერესებული პირებისთვის არ წარუდგენიათ. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების შესრულება მომდევნო წლისთვის გადაიწევს და 2023 წლის სამოქმედო გეგმაში აისახება.

- საქართველოს პარლამენტის წევრმა ლევან იოსელიანმა გამოიყენა რეგლამენტით გათვალისწინებული მექანიზმი - პარლამენტის წევრის შეკითხვა და 2022 წლის 12 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. შეკითხვა უკავშირდებოდა ადმინისტრაციული დაკავების ვადის გახანგრძლივების პრაქტიკას. კერძოდ, საკანონმდებლო ორგანომ 2021 წლის გაზაფხულზე განხორციელებული ცვლილებებით ადმინისტრაციული დაკავების ვადა ყველა შემთხვევაში 24 საათამდე გაზარდა. ასევე, შესაძლებელი გახდა, მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, 24-საათიანი ვადის ერთჯერადად, არაუმეტეს 24 საათით გახანგრძლივება, რაც ჯამში 48 საათს შეადგენს. ასეთ დროს პოლიციელმა წერილობით უნდა დაასაბუთოს ადმინისტრაციული დაკავების ვადის გაზრდის მიზანშეწონილობა. დეპუტატმა შინაგან

[2] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/6dbobl, ნანახია: 11.02.2023.

საქმეთა სამინისტროს ჰკითხა, ცვლილებების განხორციელებიდან წერილის გაგზავნის მომენტამდე სულ რამდენი პირი დააკავეს ადმინისტრაციული წესით და აქედან რამდენ შემთხვევაში იყო გამოყენებული დაკავების ვადის 24 საათით გაგრძელების პრაქტიკა.[3] პასუხად, შსს-მ განმარტა, რომ სამინისტრო ამგვარ სტატისტიკას არ აწარმოებს.[4]

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საქმეში საიამ შეაფასა დაკავების ვადის 24 საათით უსაფუძვლოდ გაგრძელების არაერთი შემთხვევა.[5] იმ პირობებში, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ამუშავებს ამგვარ სტატისტიკას, შეუძლებელია დაკავების ვადის გახანგრძლივების შემთხვევათა მასშტაბების დადგენა. მნიშვნელოვანია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არა მხოლოდ აწარმოოს შესაბამისი სტატისტიკა, არამედ ასევე განახორციელოს მონიტორინგი, რამდენად სწორად იყენებენ მისი უწყების თანამშრომლები ადმინისტრაციული დაკავების ვადის გახანგრძლივების პრაქტიკას.

---

[3] პარლამენტის წევრ ლევან იოსელიანის კითხვა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/21492, ნანახია: 11.02.2023.

[4] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/22186, ნანახია: 11.02.2023.

[5] „მოკლედ სამართალდარღვევათა კანონმდებლობაზე", საია, 2022 წ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YKeZzI, ნანახია: 11.02.2023.

საქმეების მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სასამართლომ რამდენიმე საინტერესო საქმე განიხილა, მათ შორის:

❍ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

2022 წლის 15 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება გამოაცხადა. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11 (შეკრების და გაერთიანების თავისუფლება) მუხლის დარღვევა და მომჩივნებს (7 პირი) სამართლიანი დაკმაყოფილება მიანიჭა.

საქმე შეეხება 2015 წლის 19 ივლისს თბილისის საკრებულოს წინ „თბილისი პანორამას“ პროექტის გაპროტესტების მიზნით გამართული აქციის მონაწილეების დაკავებას და პასუხისგებაში მიცემას წვრილმანი ხულიგნობის მუხლით. კერძოდ, აქციის რამდენიმე მონაწილეს ხელში ეჭირა პლაკატი წარწერით „პანორამა არა ყ**“, რის გამოც, სამართალდამცავებმა აქციის 7 მონაწილე დააკავეს. მათგან, მამრობითი სქესის წარმომადგენლები მოათავსეს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც მათ, დაახლოებით, 20 საათი გაატარეს. მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს კი შსს-ს ეზოში, პოლიციის მანქანაში, 3 საათის განმავლობაში შეეზღუდათ თავისუფლება. მომჩივნებს დაკავების საფუძველი მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ განემარტათ. სამართალდარღვევათა ოქმების თანახმად, დაკავებულებს ხელში ეჭირათ

პლაკატები **უხამსი წარწერით, რომელსაც ისინი ხმამაღლა სკანდირებდნენ, რაც წვრილმან ხულიგნობას განეკუთვნება. ასევე, ოქმების მიხედვით, ორი დაკავებული პირი არ დაემორჩილა პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას.** ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებით, 7 მომჩივანი ცნობილი იყო სამართალდამრღვევად წვრილმანი ხულიგნობისთვის - პლაკატის ხელში ჭერის გამო, რომელზეც „უხამსი“ სიტყვა ეწერა. თითოეული მათგანი დაჯარიმდა 100 ლარით. სასამართლოს მიერ არ დადასტურდა მომჩივანთა მხრიდან სხვა ქმედებების ჩადენა. თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილების თანახმად, ამგვარი შეზღუდვა ემსახურება საჯარო მორალის, ასევე კონკრეტული პირის პატივისა და ღირსების დაცვას. თუმცა, სასამართლომ არ მიუთითა კონკრეტული პირის ვინაობა, რომლის პატივსა და ღირსებასაც ზიანი მიადგა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოთ მოცემული ფაქტები იყო კონვენციის მე-11 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა. მან ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, პასუხი არ გასცეს კითხვას, მომჩივნების მიერ პლაკატების ხელში ჭერა რა ხარისხით არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. ასევე, არ შეაფასეს სახელმწიფოს მიერ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების პროპორციულობა მაშინ, როდესაც სასამართლოს წინაშე წარდგენილი ვიდეომასალა ცხადად მიუთითებდა მომჩივანთა მშვიდობიან და პასიურ პროტესტზე - მათ ხელში მხოლოდ ბანერები ეჭირათ და აგრესიულად არ მოქმედებდნენ. ამასთანავე, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ პლაკატებზე დაწერილი სიტყვები მიმართული არ ყოფილა რომელიმე ინსტიტუციის ან პერსონისკენ, შესაბამისად, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხმყოფლად. სასამართლოს შეფასებით, უწმაწური სიტყვა მომჩივნების მიერ გამოყენებული იყო, როგორც ერთგვარი ვირტუალური იარაღი, გამოეხატათ თავიანთი უკიდურესი წინააღმდეგობა „თბილისი პანორამას“ პროექტის მიმართ. აქედან გამომდინარე, თუნდაც საკამათო ფორმა,

რომელიც მომჩივნებმა აირჩიეს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საკუთარი აზრის გამოსახატავად, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ შეკრების თავისუფლება შეიზღუდოს. გარდა ამისა, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამგვარი გამოხატვის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ ჯარიმის დაკისრებას მსუსხავი ეფექტი აქვს. ამრიგად, ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების, კერძოდ, შიდა სასამართლოების უმოქმედობის გათვალისწინებით - შეეფასებინათ საქმესთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) შუქზე.[6]

საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

2022 წლის 23 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაქვეყნა განჩინება, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის კონსტიტუციურობას შეეხება. კერძოდ, საქმეზე „ნატალია ფერაძე და კონსტანტინე გურული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, თუმცა მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. მიღებული განჩინებით დადგინდა პრაქტიკა, რომლის მიღწევაც მოსარჩელეებს წარდგენილი სარჩელით სურდათ.[7]

საქმე შეეხებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) არაკონსტიტუციურად ცნობას იმის გამო, რომ საერთო სასამართლოები პირის სამართალდამრღვევად ცნობისას არ იკვლევენ სამართალდამცავი ორგანოს განკარგულების/მოთხოვნის კანონიერებას, არამედ ისინი მხოლოდ აფასებენ, მოქმედებდა თუ არა

[6] CASE OF PERADZE AND OTHERS v. GEORGIA (Application no. 5631/16), ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-221542, ნანახია: 11.02.2023.

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2/14/1730, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14765, ნანახია: 11.02.2023.

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, 173-ე მუხლით განსაზღვრული *„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობა არაორაზროვნად მიუთითებს და expressis verbis დასჯადად აცხადებს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ განკარგულებისა და მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, რომელიც კანონიერია. […] საერთო სასამართლოები ვალდებულნი არიან, პირის სამართალდამრღვევად ცნობამდე, შეისწავლონ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ მოთხოვნისა თუ განკარგულების კანონიერება, რომლის დაუმორჩილებლობისათვის პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება.“* საკონსტიტუციო სასამართლოს ეს განმარტება მნიშვნელოვანია, რათა გამოირიცხოს საერთო სასამართლოების მხრიდან ამ მუხლის არასწორი ინტერპრეტირება.